



2-546.

# საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

## სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური

0117, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №15

№ 02-7-05/1153

„ 16 „ ივნისი 2009 წ.

Tel: (+995 32) 394 120  
Fax: (+995 32) 392 258  
Tel/Fax: (+995 32) 397 069

საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს ქალბატონ ეკა ურუშაძეს

ქალბატონო ეკა,

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში განხილულ იქნა თქვენი 10.06.2009 წლის №1-673 წერილი, რომელიც შეეხებოდა თქვენს მიერ სარეალიზაციო ქსელიდან სხვადასხვა კომპანიების მიერ წარმოებული არაუნის 8 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევის შედეგად განმოვლენილ დარღვევებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ:

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მცენარეული და ცხოველური ცხიმების იდენტიფიცირების მეთოდი მ.შ. მცენარეული და ცხოველური ცხიმების პროცენტული წილის დადგენა არ შედის არც ერთი ლაბორატორიის აკრედიტაციის სფეროში. თუ აღნიშნული მეთოდი შედის შპს „ნორმა“-ს ტესტირების ლაბორატორიის სფეროში, გთხოვთ მოგეაწოდოთ დამადასტურებელი დოკუმენტი და სრულყოფილი გამოცდის ოქმები, დარეგისტრირებული გამოცდის მეთოდების მითითებით, რითაც დადასტურებული იქნება გამოვლენილ დარღვევათა სარწმუნოება.

თქვენს თხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსათვის მეწარმის სუბიექტის იმ სტანდარტების რეგისტრაციის გაუქმებას, რომლებიც არაუნის დასამზადებლად მცენარეული ცხიმის გამოყენებას ითვალისწინებს, მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ქმედება სცილდება ეროვნული სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს.

რაც შეეხება სარეალიზაციო ქსელში არსებული არაუნების ლაბორატორიულ კვლევას, როგორც უკვე გაცნობეთ, დაგეგმილია განხორციელდეს ეროვნული სამსახურის „სასურსათო პროდუქციის ლაბორატორიული კვლევის“ 2009 წლის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში.

პატივისცემით

მაია მეტრეველი

სამსახურის უფროსი